ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისცილინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე
კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი
ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „ა. კ.," წარმომადგენელი - ს. ე. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 006/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ უ. ზ.-ს მიმართ, სიითი N

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ უ. ზ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 05 თებერვალს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს „ა. კ.-ს" მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა და 100% წილის მესაკუთრე ს. ე. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ უ. ზ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 19 მარტს ს. ე. ჩ.-მ მონაწილეობა მიიღო საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე საქმის ზეპირ განხილვაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წლის 31 დეკემბერს კანონიერად შეიძინა მიწის ნაკვეთი ვაკე-საბურთალოს რაიონში, იპოდრომის პარკთან (ს/კ xx.xx.xx.xxx.xxx) და ამის შემდეგ, ამზადებდა მიწას სამშენებლო პროექტისთვის. თბილისის მერიამ 2016 წლის 17 თებერვალს და 2017 წლის 04 ივლისს გასცა მშენებლობის ნებართვები. ამ პროცესის პარალელურად მიწის ნაკვეთის მიმდებარე შენობაში მცხოვრებმა მეზობლების მცირე ჯგუფმა თბილისის მერიაში შეიტანეს საჩივრები იმ მიზეზით, რომ მათ არ სურდათ მათთან ახლოს მაღალი შენობის აშენება და რომ შპს „ა. კ." ართმევდა მათ პირადი

ტრანსპორტის პარკირების ადგილებს. მეზობლების საჩივრები მუნიციპალიტეტმა არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც მეზობლებმა 2016 წლის ივნისში დაიქირავეს ადვოკატი უ. ზ..

1.3 ადვოკატმა უ. ზ.-მ 2016 წლის ივნისში თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი სამი მეზობლის - მ. კ.-ს, ჯ. ბ.-სა და გ. ჯ.-ს სახელით. სარჩელში თბილისის მერია დასახელებული იყო, როგორც ძირითადი მოპასუხე, მოგვიანებით კი შპს „ა. კ." დამატებული იყო, როგორც მესამე პირი. საჩივარში ადვოკატი მოითხოვდა მათი გეგმების დროებით გაყინვას და გაცემული კანონიერი მშენებლობის ნებართვების გაუქმებას შემდეგ ძირითად არგუმენტებზე დაყრდნობით, თითქოს:

- სამშენებლო პროექტი, რომელიც დამტკიცებული იყო თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ არ იყო დამაკმაყოფილებელი ტექნიკური თვალსაზრისით და შეეძლო უ. ზ.-ს კლიენტების კუთვნილ შენობასთან მისასვლელის გადაკეტვა ან მათი მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოებს შეეძლო დაეზიანებინა მათი შენობა;

- მშენებლობას შესაძლოა გამოეწვია პარკირების პრობლემები და საგზაო შეფერხებები;

- დაგეგმილი ასაშენებელი კორპუსი იყო შეუხედავი, დიდი და აუცილებლად გამოიწვევდა უ. ზ.-ს კლიენტების ქონების საბაზრო ღირებულების შემცირებას.

1.4 საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატ უ. ზ.-ს არგუმენტები სარჩელში მცდარია, რადგან მან ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე სახის კვლევა ან ანალიზი რეპუტაციის მქონე ექსპერტების მიერ ასეთი საჩივრის დასადასტურებლად. ამასთან, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ უ. ზ.-ს პრეტენზიები იყო არასერიოზული და უკიდურესად ბოროტად განზრახული, ვინაიდან ინვესტორების მნიშვნელოვანი ინვესტიციის შეჩერებას მოითხოვდა მხოლოდ მისი კლიენტებისთვის მიყენებული „უხერხულობის" გამო და მან არ წარმოადგინა ,,ბრალდების" დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რომ შენობა დააზიანებდა მისი კლიენტების სახლებს.

1.5 უ. ზ.-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ამის გამო 2017 წლის მაისამდე შპს „ა. კ.-ს" მშენებლობა შეჩერდა, შედეგად, საჩივრის ავტორის განმარტებით, საჭირო გახდა დამატებითი ხარჯების გაწევა და განიცადეს ზარალი, რაც განისაზღვრა დაახლოებით 120'000 აშშ დოლარზე მეტი თანხით, პროექტის რეპუტაციის შელახვის გამო კი ვეღარ შეძლეს მისი და მიწის ნაკვეთის გაყიდვა.

1.6 2017 წლის აგვისტოში ადვოკატმა უ. ზ.-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა თბილისის მერიას, თუმცა 2017 წლის 16 ოქტობრის წერილით ის ჩაითვალა დაუშვებლად.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 24 ოქტომბერს უ. ზ.-მ 2016 წლის სარჩელის იდენტური არგუმენტებით საჩივრით მიმართა თბილისის მერიას და მოითხოვა მშენებლობის შეჩერება და მშენებლობის ნებართვის გაუქმება. კერძოდ უ. ზ. აცხადებდა, რომ სამშენებლო სამუშაოებს შესაძლოა გამოეწვია მისი კლიენტებისთვის პარკირების პრობლემები და საგზაო შეფერხებები; მისი კლიენტების ბინების საბაზრო ღირებულება შემცირდებოდა, რადგან მომჩივანის მხარის შენობა ძალიან დიდი და უსახური იყო; მშენებლობა ჯერ არ იყო დაწყებული და ადვოკატი მოითხოვდა

მშენებლობის ნებართვის შეჩერებას; მომჩივანის მხარეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ინვესტირებული ან დახარჯული ფული სამშენებლო პროექტის ან მიწის ნაკვეთის განვითარებაში, როცა ნებადართული იყო მათი ბიზნესის განუსაზღვრელი ვადით გაყინვა.

1.8 განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ სარჩელში გაკეთებული პრეტენზიები აშკარად მცდარი იყო და ადვოკატმა სარჩელის შეტანამდე იცოდა, რომ ისინი ყალბი იყო. ზ.-ს მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც მშენებლობა მისი კლიენტების მოძრაობის შეფერხების საფრთხეს ქმნიდა, აბსოლუტურად მცდარია, რაც დამტკიცდა 2016 წლის ივნისში არასწორად შეტანილი პირველი სარჩელით. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ზ.-ს კლიენტებს აქვთ საკუთარი მიწისქვეშა პარკინგი, რომელიც კიდევ უფრო მოსახერხებელი გახდება ახალი კერძო გზის მშენებლობისას, რასაც განმცხადებლის კომპანია უზრუნველყოფს და ეს დამტკიცებულია კიდეც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, რა მტკიცებულებაც საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო ზ.-სთვის წელიწადზე მეტია.

1.9 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ უ. ზ.-ს მიერ წარმოდგენილი მეორე არგუმენტის შესაბამისი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც განმცხადებლის ბიზნესი უნდა შეჩერდეს, რადგან მომავალი მშენებლობის გეგმები არის „უსახური“ და გამოიწვევს მოწინააღმდეგე მხარის კლიენტების სახლების საბაზრო ღირებულების შემცირებას, საერთოდ არ არსებობს. არსებობს ახალი და თანამედროვე სამშენებლო პროექტების მაგალითები, რომლებმაც რეალურად გაზარდა და არ შეამცირა მეზობელი შენობების ღირებულება. დასკვნა, რომ შეუძლებელია უძრავი ქონების ფასების მომავალში პროგნოზირება დადასტურებულია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის დასკვნით, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია უძრავი ქონების ფასის მომავალში პროგნოზირება.

1.10 სარჩელის მესამე და მეოთხე პრეტენზიებზე, რომელთა მიხედვითაც უ. ზ. ითხოვდა მშენებლობის ნებართვის შეჩერებას და ბიზნესის განუსაზღვრელი ვადით გაყინვას იმ საფუძვლით რომ მშენებლობა არ იყო დაწყებული და არ იყო ფული დახარჯული სამშენებლო პროექტის ან მიწის ნაკვეთის განვითარებაში, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ უზუსტო და მცდარია. აღნიშნულის დასადასტურებლად განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც სოციალურ მედიაში ატვირთულია მშენებლობის დაწყების დამადასტურებელი ფოტო და ვიდეო მასალა და განმარტავს, რომ კომპანიამ ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო სამშენებლო მოსამზადებელი სამუშაოები მიწის ნაკვეთზე, შემდეგ კი დაიწყო უსაფრთხოების კედლის ოფიციალური სამშენებლო სამუშაოები 2017 წლის 23 ოქტომბერს - მეორე სარჩელამდე ერთი დღით ადრე.

1.11 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა მცდარი მტკიცებულებები არ წარადგინოს სასამართლოში, ხოლო ადვოკატმა უ. ზ.-მ იმ მიზნით, რომ სასამართლოს დაეკმაყოფილებინა მისი სარჩელი და ა. კ.-სთვის გაეუქმებინა სამშენებლო ნებართვა, განზრახ გააკეთა არასწორი განცხადებები. მოცემული ბუნდოვანი განცხადებებით ადვოკატმა ზიანი მიაყენა საჩივრის ავტორის ბიზნეს ურთიერთობებს და კეთილ იმიჯს საზოგადოებაში.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მათი მოტყუების, შევიწროების მიზნით 2017 წლის დეკემბერში კვლავ შეიტანა ადმინისტრაციული სარჩელი პროექტის წინააღმდეგ. 2017 წლის 05 დეკემბერს მერიაში მოცემული სარჩელის განხილვის მიზნით შედგა სხდომა, რომელზეც არ გამოცხადდა ადვოკატი კლიენტებთან ერთად, ხოლო მერიის იურიდიული ჯგუფისა და არქიტექტურული სამსახურის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ შპს ,,ა. კ.“-სთვის სამშენებლო ნებართვის გაცემა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

1.13 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ უ. ზ.-მ ონლაინ კავშირი დაამყარა მოსამართლე გ. შ.-სთან, რომელსაც აკავშირებს ნაცნობობა ზ.-ს კლიენტებთან და, რომელიც ცხოვრობს შპს „ა. კ.-ს“ მიწის ნაკვეთის მეზობელ შენობაში. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მოსამართლე გ. შ. საჯაროდ ემუქრებოდა კომპანიას ზიანის მიყენების გამო, ამიტომ ადვოკატი ზ.-ს კავშირი მასთან შეუსაბამოა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან.

1.14 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ უ. ზ.-ს ერთ-ერთი კლიენტი ჯ. ბ. 2018 წლის 01 თებერვალს პირველ არხზე ჩაერთო სატელევიზიო ეთერით და გააკეთა ცილისმწამებლური განცხადებები მისი კომპანიის მიმართ. განმცხადებლის განმარტებით ბ.-მ გაიმეორა მისი და მისი პარტნიორების ყალბი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ა. კ.-ს“ მიერ კანონიერად შეძენილი ობიექტი გამოყენებულ უნდა იქნას მათ სასარგებლოდ და რომ მიწის ნაკვეთი „არასწორად იქნა გაყიდული“. საჩივრის ავტორი აღშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ უ. ზ. იჯდა მისი კლიენტის გვერდით და არ უარყო ბ.-ს მიერ გაჟღერებული ყალბი ცნობები. საჩივრის ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ უ. ზ.-მ რჩევები მისცა და მოამზადა მისი კლიენტი ინტერვიუს მიცემამდე. საჩივრის ავტორი აღნიშნული „ყალბი“ ინფორმაციის გასაქარწყლებლად მიუთითებს იუსტიციის სახლიდან, თბილისის მერიიდან და თბილისის საგადასახადო ინსპექციის ოფისიდან მოპოვებულ მტკიცებულებებზე. უ. ზ.-მ ეროვნული ტელევიზიით გაშუქებულ ინტერვიუში თავადაც გაიმეორა 2017 წლის 24 ოქტომბრის სარჩელში მითითებული ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოს შპს „ა. კ.-ს“ არ ჰქონდა სამშენებლო სამუშაოები დაწყებული და არ ჰქონდა თანხა დახარჯული პროექტზე. განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნული განცხადებით უ. ზ.-მ „მცდარ შუქზე“ დაანახა საზოგადოებას კომპანია, ამასთან მან იცოდა, რომ ორივე განცხადება არასწორი იყო.

1.15 განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ადვოკატ უ. ზ.-ს სამართლებრივი სტრატეგია შეურაცხყოფას აყენებს სასამართლოს, ბოროტად იყენებს სამართლებრივ პროცესს და შესაბამისად არღვევს სასამართლოში ქცევის წესებს. ამასთან, ადვოკატის იურიდიული მოქმედებების შედეგად კომპანიამ განიცადა ფინანსური ზიანი და შეელახა საქმიანი რეპუტაცია. ადვოკატის მიერ კომპანიის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრები ემსახურებოდა შპს „ა. კ.-სთვის“ მხოლოდ ზიანის მიყენებას და მისი ქცევა სცდება ყოველგვარი პროფესიული კეთილსინდისიერების ფარგლებს, ამიტომ საჩივრის ავტორის აყენებს ადვოკატი უ. ზ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა უ. ზ.-მ 2017 წლის 3 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომელშიც ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის რეალურ მიზანს წარმოადგენს მისთვის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა. 2018 წლის 26 მარტს ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საქმის ზეპირ განხილვაში საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით თბილისის მერიამ 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით გააუქმა შპს „ა. კ.-ს" მშენებლობის ნებართვა, ვინიდან მისი გამოცემისას არ იყო გათვალისწინებული მისი მარწმუნებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

2.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 2017 წლის 4 ივლისს ხელახლა გამოსცა მშენებლობის ნებართვა, რაც მის მიერ გასაჩივრდა 2017 წლის 16 ოქტომბერს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ კვლავ გამოიყენა ნებართვის შეჩერების ღონისძიება, რომელიც თავის მხრივ გასაჩივრდა სააპელაციო წესით და სასამართლომ უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის შეჩერების შესახებ. ადვოკატი აღნიშნულ ფაქტს მიუთითებს იმის საფუძვლად, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სურს მასზე ზეგავლენის მოხდენა და ამით გამოხატავს უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ შეაჩერა მათი მშენებლობის ნებართვა. მხარეებს შორის დავა მიმდინარეობს და მშენებლობა შეჩერებულია დაახლოებით ორი წელია.

2.4 ადვოკატმა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა წინასწარი შეცნობით მიაწოდა სასამართლოს არასწორი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მშენებლობა დაწყებული არ ყოფილა, განმარტა, რომ სამშენებლო სამართალში მშენებლობის დაწყება გულისხმობს ქვაბულის მიწის სამუშაოების დაწყებას, მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გაცემა არ გულისხმობს მშენებლობის დაწყებას. ის გზაც კი არ არის მოწყობილი, რომლითაც სამშენებლო მოედანზე უნდა იარონ. სამშენებლო სამუშაოებში იგულისხმება ის სამუშაო, რაც სამშენებლო ნებართვით არის გათვალისწინებული. დენის გადატანა, გაზის მილების გადატანა არ ყოფილა სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული სამუშაოები, შესაბამისად მათ წარმოებას ნებართვის შეჩერება ვერ გამოიწვევდა. სამშენებლო სამუშაოები, ქვაბული, საძირკველის გაყვანა და ა.შ დაწყებული არ არის, ხოლო იმ სამუშაოებს, რაც სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული არ ყოფილა, ადვოკატი სადაოდ არ ხდის.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის, რომ მისი მოსაზრებით შენობა შეიძლება იყოს უსახური, ეს არის მისი მოსაზრება და ადვოკატს უფლება აქვს გარკვეულ ფაქტებზე ჰქონდეს მოსაზრებები.

2.6 ადვოკატი აღნიშნავს, რომ გადაცემაში კლიენტმა თავისი სიტყვებით მოყვა მისი ისტორია, ეს იყო კლიენტის გამოხატვის თავისუფლება და ადვოკატს არ მიაჩნია მართებულად ჩაერიოს კლიენტის გამოხატვის თავისუფლებაში. ადვოკატი გადაცემაში კლიენტის გვერდით იჯდა, თუმცა ამ საქმეზე ადვოკატს კომენტარი არ გაუკეთებია. მან სხვა ქუჩაზე არსებულ სამშენებლო პრობლემებზე ისაუბრა.

2.7 ადვოკატი ადასტურებს, რომ მოსამართლე გ. შ. ცხოვრობს იმ კორპუსში, სადაც ცხოვრობენ მისი კლიენტები, თუმცა ის არ არის უ. ზ.-ს კლიენტი.

2.8 ადვოკატის გამოთქვამს ვარაუდს, რომ შპს „ა. კ.-ს“ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენა დასჭირდა იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა მისი არაკეთილსინდისიერება და ამით შემდეგ სასამართლოზე გავლენა მოეხდინა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი უ. ზ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 შპს „ა. კ.-მ“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 05 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ უ. ზ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა უ. ზ.-მ სასამართლოს მისი კომპანიის წინააღმდეგ სარჩელებით მიმართა მცდარ არგუმენტებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით და მოითხოვა გაცემული კანონიერი მშენებლობის ნებართვების გაუქმება; ადვოკატმა იგივე მცდარ არგუმენტებზე დაყრდნობით მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით თბილისის მერიასაც და მოითხოვა მშენებლობის შეჩერება და მშენებლობის ნებართვის გაუქმება; ადვოკატი ონლაინ დაუკავშირდა მოსამართლე გ. შ.-ს, რომელიც ცხოვრობს შპს „ა. კ.“-ს მიწის ნაკვეთის მეზობელ შენობაში და რომელიც საჯაროდ ემუქრებოდა კომპანიას ზიანის მიყენების გამო; ადვოკატი სატელევიზიო ეთერით ჩართვის დროს იჯდა კლიენტის გვერდით, რომელმაც ცილისმწამებლური განცხადებები გააკეთა საჩივრის ავტორის კომპანიის მიმართ, რაც ადვოკატმა არ უარყო და ეროვნული ტელევიზიით გაშუქებულ ინტერვიუში თავადაც გაიმეორა 2017 წლის 24 ოქტომბრის სარჩელში მითითებული ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოს შპს „ა. კ.-ს“ იმ ეტაპზე არ ჰქონდა სამშენებლო სამუშაოები დაწყებული და თანხა დახარჯული არ ჰქონდა პროექტზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე, რომელიც უკავშირდება ადვოკატის მიერ სასამართლოსა და თბილისის მერიისადმი მიმართვას მისი კომპანიის წინააღმდეგ მცდარი

არგუმენტებისა და მტკიცებულებების გამოყენებით სარჩელებითა თუ ადმინისტრაციული საჩივრით მშენებლობის შეჩერებისა და მშენებლობის ნებართვის გაუქმების მოთხოვნით, იმსჯელა შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის მესამე ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.“

5.3 ეთიკის კომისიამ 2013 წლის 06 ივნისის რეკომენდაციაში N005/13 ფართოდ განმარტა აპეკ-ის მე-9.3 მუხლით დადგენილი პროფესიული ქცევა და მიუთითა, რომ ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა სასამართლოს წინასწარი შეცნობით არ წარუდგინოს არა მხოლოდ ყალბი მტკიცებულება, არამედ კლიენტის წარმომადგენლობისას ადვოკატმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და ამის თაობაზე ადვოკატისათვის ცნობილია. საპროცესო კოლეგია მხარს უჭერს N005/13 რეკომენდაციაში მოცემულ განმარტებას და დამატებით აღნიშნავს, რომ ადვოკატების ეს ვალდებულება მეტ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოებისას სასამართლოებში გავრცელებული პრაქტიკით, ადვოკატები მხარეთა ნაცვლად წარადგენენ ახსნა-განმარტებას მინდობილობის საფუძველზე. მხარის ახსნა-განმარტებას კანონი კი მტკიცებულებით ძალას ანიჭებს (სსსკ 102.2 მუხლი). ამავე დროს საპროცესო კოლეგია ხაზს უსვამს, რომ მაშინ, როდესაც კომისიის კომპეტენციაში შედის ადვოკატის პროფესიული ქცევის შემოწმება და დადგენა, ხომ არ აწვდის ის სასამართლოს განზრახ არასწორ ინფორმაციას, კომისია მოკლებულია უფლებამოსილებას შეაფასოს ადვოკატის მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურება შერჩეული სამართლებრივი სტრატეგიის, გაკეთებული განცხადების, შედგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივი დასაბუთების ხარისხი. ადვოკატი დამოუკიდებელი პროფესიული განსჯის შედეგად თავად განსაზღვრავს მისი კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონმდებლობისა და ეთიკური ქცევის ფარგლებში რა სტრატეგიას შეარჩევს და რა არგუმენტაციას განავითარებს. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება.

5.4 საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატმა უ. ზ.-მ მისი კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სარჩელებში თუ ადმინისტრაციულ საჩივარში გამოიყენა არასწორი არგუმენტები და დაურთო არასანდო მტკიცებულებები (იხ. აბზაცები 1.3-1.12), საპროცესო კოლეგიამ გამოიკვლია საჩივრის ავტორისა და ადვოკატის მიერ წარმოდგენილი დასაბუთების, მასალების საფუძველზე და უთითებს, რომ თავად საჩივრის ავტორმა, ს. ე, ჩ.-მ მისი პრეტენზიების საფუძვლიანობის დასადასტურებლად მტკიცებულებების სახით წარმოადგინა ადვოკატ უ. ზ.-ს მიერ სასამართლოში თუ მერიაში შეტანილი საპროცესო დოკუმენტები, რომელთა მიხედვით ადვოკატი უ. ზ. წარმოადგენდა კლიენტების: ჯ. ბ.-ს, მ. კ.-ს, გ. ჯ.-ს ინტერესებს, ადმინისტრაციული საჩივრის თუ სარჩელის შეტანის დროს ადვოკატი ეწეოდა პროფესიულ საქმიანობას და მოქმედებდა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, იყენებდა სამოქალაქო საპროცესო სამართლით მინიჭებულ უფლებამოსილებას. კერძოდ, ადვოკატმა უ. ზ.-მ:

- 2016 წლის 17 მაისს სასამართლოს მიმართა დაზუსტებული ადმინისტრაციული სარჩელით, დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. საქმე N3/XXXX-16 მოსარჩელე: ჯ. ბ., მ. კ., გ. ჯ., წარმომადგენელი უ. ზ., მოპასუხეები: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური; სარჩელით ადვოკატმა მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის დადგენილების N20-xxx ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც მიწის ნაკვეთისთვის საკადასტრო კოდით yy.yy.yy.yyy.yy დადგინდა განაშენიანების ახალი ძირითადი პარამეტრები და ფუნქციური ზონა, რითიც უგულვებელყოფილ იქნა არსებულ ტერიტორიაზე ქალაქის მთავარი არქიტექტორის ბრძანებით 20/xxx 22.07.03 შეთანხმებული გენერალური გეგმა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების 2XXXXX ARXXXXXX, 17.02.2016 ბათილად ცნობა, ადვოკატმა ასევე მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალებოდა ქალაქის მთავარი არქიტექტორის ბრძანებით 20/xxx 22.07.03 შეთანხმებული გენერალური გეგმის და ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების გათვალისწინებით დაედგინა განაშენიანების ახალი ძირითადი პარამეტრები და ფუნქციური ზონა. უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ადვოკატმა უ. ზ.-მ მოითხოვა 2014 წლის 30 დეკემბრის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების N20-XXX შეჩერება იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა განაშენიანების ახალი ძირითადი პარამეტრები და ფუნქციური ზონა (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა), ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2016 ბრძანების 2XXXXX ARXXXXXX მოქმედების შეჩერება, რომლითაც გაიცა მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთზე კოდით: xx.xx.xx.xxx.xxx ვინაიდან არსებობდა დასაბუთებული ეჭვი როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, ამასთანავე მისი აღსრულება არსებით ზიანს აყენებდა, რაც შეუძლებელს გახდიდა დაეცვა კლიენტების კანონიერი უფლებები და ინტერესები. (მტკიცებულება ა)

- 2016 წლის 02 ივნისის განჩინებით (საქმე N3/XXXX-16) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, კერძოდ შეჩერდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის N2XXXXX ბრძანების მოქმედება - საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე (მტკიცებულება ა);

- 2017 წლის 02 ივნისს ადვოკატმა სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციული სარჩელით - საქმე N3/XXXX-17 მოსარჩელე: ჯ. ბ., მ. კ., გ. ჯ., წარმომადგენელი უ. ზ., მოპასუხე: ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერია; დავის საგანი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 03 მაისის ბრძანების N1-XXXX ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა, რაც დგინდება 19.06.2017 განჩინებით. 2017 წლის 18 ივლისს ადვოკატმა კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს 19.06.2017 განჩინების გაუქმების მოთხოვნით (მტკიცებულება ა);

- 2017 წლის 05 ივლისს ადვოკატმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურს და მოითხოვა - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 ივლისის 33XXXXX ბრძანების ARXXXXXX, 04.07.2017 ბათილად ცნობა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა (მტკიცებულება ა);

- 2017 წლის 16 ოქტომბერს ადვოკატმა ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა სასამართლოს, ხოლო სარჩელი დააზუსტა ხარვეზის დადგენის შემდეგ 20 ოქტომბერს - საქმე N3/XXXX-17 მოსარჩელე: ჯ. ბ., მ. კ., გ. ჯ., წარმომადგენელი უ. ზ., მოპასუხე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური; დავის საგანი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 ივლისის 33XXXXX ბრძანების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის 1-2XXX ბრძანების ბათილად ცნობა (მესამე პირად ჩაება შპს ,,ა. კ.“); ადვოკატმა აქვე მოითხოვა უზრუნველყოფის სახით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.07.2017 წლის 33XXXXX ბრძანების მოქმედების შეჩერება იმის გამო, რომ სადაო აქტის საფუძველზე მშენებლობა ჯერ არ იყო დაწყებული. მტკიცებულებების სახით სარჩელს ერთვოდა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის 1-2XXX ბრძანება ჯ. ბ.-ს, მ. კ.-ს, გ. ჯ.-ს 2017 წლის 05 ივლისის N19/XXXXXXXXX-01 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; კრებსითი საექსპერტო დასკვნა; ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა 00XXXXX; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 03 მაისის 1-XXXX ბრძანება ჯ. ბ.-ს, მ. კ.-ს, გ. ჯ.-ს 2016 წლის 24 მარტის NXXXXXX/12 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე და სხვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო, დასაშვებად ცნო, მესამე პირად ჩააბა შპს ,,ა. კ.“ და მიიღო გადაწყვეტილება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებისა და მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ (მტკიცებულება ბ).

5.5 შესაბამისად, კლიენტების მოთხოვნის დასასაბუთებლად ადვოკატმა 2016 წლის 17 მაისის დაზუსტებულ ადმინისტრაციულ სარჩელში, 2017 წლის 05 ივლისის ადმინისტრაციულ საჩივარში და 2017 წლის 16 ოქტომბრის ადმინისტრაციულ სარჩელში მიუთითა ის მოსაზრებები და ფაქტები, რაც მისი აზრით წარმოადგენდა მისი კლიენტების მოთხოვნების საფუძველს და დაურთო მტკიცებულებები. ბუნებრივია, რომ დავაში მესამე პირის სტატუსით ჩართული მხარისთვის - შპს ,,ა. კ.“-სთვის შესაძლოა მოსაწონი არ იყოს ადვოკატ უ. ზ.-ს მიერ კლიენტების დასაცავად

განხორციელებული მოქმედებები, მაგრამ მიმდინარე სასამართლო წარმოებაში თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია, განახორციელონ შედავება და სასამართლოს თუ საქმისმწარმოებელი ორგანოს შეფასების საგანია რამდენად საფუძვლიანია მხარის მიერ წარდგენილი სარჩელი თუ საჩივარი.

- ადვოკატ უ. ზ.-ს მიერ საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში საქმისმწარმოებელ ორგანოებში წარდგენილ სარჩელში და საჩივარში გამოყენებულ არგუმენტებთან დაკავშირებით, რასაც ეთიკის კომისიაში ხდის სადავოდ ადვოკატის კლიენტების მოწინააღმდეგე მხარე, კოლეგია ნაწილს აფასებს, როგორც ადვოკატის მიერ გამოთქმულ აზრს, ხოლო ნაწილს, როგორც ფაქტს. სასამართლო პრაქტიკაში, სიტყვა „აზრი" ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებას თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ არსებობს შესაძლებლობა, რომ ფაქტი შემოწმდეს და ინახოს, ის რეალურად არსებობდა თუ არა. ამიტომ ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში აზრები და ფაქტები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და მათი გამიჯვნა რთულია. ეს იმით არის განპირობებული, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა ფორმით. უმთავრესად გვხვდება ისეთი გამონათქვამები, რომელშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომ ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს არ უნდა დაიკარგოს ან არ უნდა გაყალბდეს გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. (იხ. სუსგ Nას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ). ადვოკატის განცხადება იმის თაობაზე, რომ ასაშენებელი კორპუსი იყო დიდი, შეუხედავი, რომელიც ადვოკატმა საპროცესო დოკუმენტებში მიუთითა, წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას. იგივე წესი ვრცელდება ადვოკატის შეფასებაზე, რომ მშენებლობას შესაძლოა გამოწვია პარკირების პრობლემები და საგზაო შეფერხებები, ასევე სხვა პირების (მისი კლიენტების) ქონების ღირებულების შემცირება. საჩივრის ავტორის პრეტენზიაში გამოთქმული განცხადებები სამშენებლო პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ მოთხოვნებთან და მის მიერ სხვა ნაკვეთებთან მისასვლელის გადაკეტვა ან სხვა ქონების დაზიანების რისკი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და საექსპერტო შეფასებას და არ წარმოადგენს ფაქტს, შესაბამისად ამ საკითხზე ადვოკატის განცხადებები ასევე ფასდება, როგორც მოსაზრება და არა ფაქტები, რომელიც შეფასდება აპეკ-ის 9.3 მუხლის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს შპს ,,ა. კ.-ს" წარმომადგენლის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატ უ. ზ.-ს არგუმენტაცია, რომელსაც იგი კლიენტების მოთხოვნის დასასაბუთებლად იყენებდა, მცდარია იმ ნაწილში, სადაც საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ადვოკატის მიერ საპროცესო დოკუმენტებში გამოყენებულ მოსაზრებებს, შეფასებით მსჯელობას.

- საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატმა სასამართლოს აცნობა, რომ მშენებლობა დაწყებული არ ყოფილა, წარმოადგენს ფაქტს და კოლეგია აფასებს აპეკ-ის 9.3 მუხლის ფარგლებში. ადვოკატმა უ. ზ.-მ ახსნა, თუ რას გულისხმობდა მშენებლობის დაწყებაში და განმარტა, რომ სამშენებლო სამართალში მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები არ მიიჩნევა მშენებლობად, ისევე როგორც, სამშენებლო ნებართვის მიღება არ წარმოადგენს მშენებლობის დაწყებას. სამშენებლო სამუშაოებში იგულისხმება ის სამუშაო, რაც სამშენებლო ნებართვით არის გათვალისწინებული. დენის გადატანა, გაზის მილების გადატანა, რაზეც საჩივრის ავტორი უთითებს, არ ყოფილა სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული სამუშაოები, შესაბამისად მათ წარმოებას ნებართვის შეჩერება ვერ გამოიწვევდა. სამშენებლო სამუშაოები - ქვაბული, საძირკველის გაყვანა და ა.შ დაწყებული არ ყოფილა, ხოლო იმ სამუშაოებს, რაც სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული არ ყოფილა, ადვოკატი სადაოდ არ ხდის.

  კოლეგია აღნიშნავს, რომ მშენებლობის ნებართვა არის მოქმედების ვადით შეზღუდული აღმჭურველი აქტი, რომლის საფუძველზეც მშენებლობის დაწყება და დასრულება ზუსტად არის განსაზღვრული კანონით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შესაძლებლობით. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამშენებლო სამუშაო წარმოადგენს მოქმედებათა ერთობლიობას, რომელიც ხორციელდება სამშენებლო მოედნის მომზადების, შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის, კონსერვაციის ან/და შეკეთების დროს. სამშენებლო სამართალში გაზის მილების და დენის გადატანა მიიჩნევა წინასამშენებლო სამუშაოებად, ხოლო მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული კონკრეტული მოქმედებების დაწყება მიიჩნევა სამშენებლო სამუშაოებად. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტი, რომ მის კომპანიას დაწყებული ჰქონდა სამშენებლო სამუშაოები, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტომასალით, არის შეფასებითი და საჭიროებს როგორც სამშენებლო ნებართვის შესწავლას, ასევე ადგილზე განხორციელებული მოქმედებების გამოკვლევას, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიერ უნდა განხორციელდეს და ეთიკის კომისიის კომპეტენციას ცდება ტექნიკურად და სამართლებრივად შეაფასოს იყო თუ არა შპს ,,ა. კ.-ს“ მიერ დაწყებული მშენებლობა მაშინ, როდესაც ადვოკატმა საპროცესო დოკუმენტებში მიუთითა, რომ კომპანიას სამშენებლო ნებართვით განხორციელებული სამუშაოები დაწყებული არ ჰქონია. არსებული მასალების საფუძველზე, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას ადვოკატის ქცევა შეაფასოს ამ ნაწილში, რადგან თავად სადაო ფაქტის დადენისთვის საჩივრის ავტორის მიერ ვარგისი მტკიცებულებების წარმოდგენა არ მომხდარა.

5.6 ამდენად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ უ. ზ.-ს მიერ კლიენტების მოთხოვნების დასასაბუთებლად საპროცესო დოკუმენტებში მითითებული არგუმენტაცია არ წარმოადგენს პროფესიული ქცევის სასამართლოსთვის წინასაწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების მიწოდების

დაუშვებლობის პრინციპების დარღვევას და ადვოკატი უ. ზ.-ს ქცევა ექცევა ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტებში.

5.7 საპროცესო კოლეგია არ თვლის საფუძვლიანად საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატის ერთ-ერთი კლიენტი ადვოკატ უ. ზ.-სთან ერთად 2018 წლის 01 თებერვალს პირველ არხზე ჩაერთო სატელევიზიო ეთერით და გააკეთა ცილისმწამებლური განცხადებები საჩივრის ავტორის კომპანიის მიმართ, ხოლო ადვოკატმა, რომელიც კლიენტის გვერდით იჯდა არ უარყო ჯ. ბ.-ს მიერ გაჟღერებული ყალბი ცნობები და ეროვნული ტელევიზიით გაშუქებულ ინტერვიუში თავადაც გაიმეორა 2017 წლის 24 ოქტომბრის სარჩელში მითითებული ცრუ ინფორმაცია.

5.8 პირველ რიგში საპროცესო კოლეგია საჭიროდ თვლის, მიუთითოს, თუ რომელი პირების მოქმედებაზე ეკისრება ადვოკატს პასუხისმგებლობა. აპეკ-ის მე-11.1 მუხლით, ,,ადვოკატი პასუხისმგებელია, იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, რომელიც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.“ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე, ადვოკატი ვერ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის ქცევაზე. საპროცესო კოლეგიას არ აქვს მტკიცებულება, რომ კლიენტი მოქმედებდა ადვოკატის მითითებით, მაშინ, როდესაც ადვოკატი უარყოფს აღნიშნულს. გარდა ამისა, ზემოთ განხილული აპეკ-ის 9.3 მუხლი ადგენს ყალბი მტკიცებულებების სასამართლოსთვის და სასამართლოს მსგავსი უფლებამოსილების განმხორციელებელი პირებისთვის მიწოდების აკრძალვას და არ შეიცავს რეგულაციას მედიაში განხორციელებული განცხადებების მიმართ. შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზეც ვერ იმსჯელებს საპროცესო კოლეგია ადვოკატის მედია საშუალებებში განხორციელებულ განცხადებებზე ან რაიმეს უარყოფის ვალდებულებაზე.

5.9 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი ონლაინ დაუკავშირდა მოსამართლე გ. შ.-ს, რომელიც ცხოვრობს შპს „ა. კ.-ს“ მიწის ნაკვეთის მეზობელ შენობაში და რომელიც საჯაროდ ემუქრებოდა კომპანიას ზიანის მიყენების გამო, კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმის ფარგლებში:

> აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.“

5.20 აპეკ-ის 9.2 მუხლის მოთხოვნა გამომდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან და მიზნად ისახავს სასამართლოზე უკანონო ზეწოლის განხორციელების აკრძალვას, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენების დაუშვებლობას და გარკვეული უპირატესობის მოპოვების აკრძალვას. მსგავსი კომუნიკაციის დაშვება შექმნიდა მოსამართლის მხრიდან კონკრეტული მხარის სასარგებლოდ, მიკერძოების შესაძლებლობას და სასამართლოსადმი ნდობას დააყენებდა ეჭვქვეშ. მოსამართლესთან კომუნიკაციის წესს არეგულირებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონი.[1] კომისიის განმარტებით, აპეკ-ის 9.2 მუხლის მოთხოვნა ვრცელდება ადვოკატის კომუნიკაციაზე საქმის განმხილველ მოსამართლესთან და არ მოიცავს ნებისმიერ მოსამართლესთან ადვოკატის ურთიერთობის შეზღუდვას.

5.21 საჩივრის ავტორის განმარტებით დგინდება, რომ მოსამართლე გ. შ. არ იღებდა მონაწილეობას შპს ,,ა. კ.-სა" და ადვოკატ უ. ზ.-ს კლიენტებს შორის დავებში. ადვოკატი უ. ზ. ადასტურებს მოსამართლესთან ნაცნობობას, თუმცა აღნიშნავს, რომ მოცემული მოსამართლე არ არის შემხებლობაში მისი კლიენტების დავებთან შპს ,,ა. კ.-ს" წინააღმდეგ. კოლეგიის შეფასებით, არსებული მოცემულობა განსხვავდება აპეკ-ის მე-9.2 მუხლის რეგულირების სფეროსგან და მოსამართლე გ. შ.-სთან კომუნიკაციით ადვოკატ უ. ზ.-ს არ დაურღვევია მოსამართლესთან კომუნიკაციის წესი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №006/18 ადვოკატ უ. ზ.-ს მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

---

[1] ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ, ავტორები: ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თამარ ხუბულური, გვ. 118

https://gba.ge/pdf/5c3ca52befe6d.pdf/5c3ca52befe6d.pdf